პრაქტიკული მითითება №2

გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, სახელმძღვანელო

პოლიციის რეფორმა და გენდერი

შინაარსი

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერი პოლიციის რეფორმისთვის?

როგორ შეიძლება გენდერის ინტეგრირება პოლიციის რეფორმაში?

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

პოლიციის რეფორმასთან დაკავშირებული შეკითხვები

დამატებითი ინფორმაცია

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალთა როლის განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (INSTRAW)

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF)

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმამ მამაკაცების, ქალების, ვაჟების და გოგონების უსაფრთხოების სხვადასხვა საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს. გენდერული საკითხების ინტეგრაცია ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სექტორის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულებისთვის, ასევე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების მიმართ ადგილობრივ დონეზე მესაკუთრეობის შეგრძნების და ლეგიტიმურობისთვის.

წინამდებარე პრაქტიკულ მითითებაში მოცემულია მოკლე შესავალი პოლიციის რეფორმაში გენდერის საკითხების ინტეგრაციის სარგებლის თაობაზე, ასევე პრაქტიკული ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკული მითითება უფრო მოცულობით „ინსტრუმენტს" ეფუძნება და ორივე მათგანი ***გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს*** ნაწილს წარმოადგენს. იმისთვის, რომ გენდერის საკითხების შესახებ ერთგვარი შესავალი გაკეთდეს უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში მონაწილე პრაქტიკოსებისა და პოლიტიკის შემმუშავებელი პირებისთვის, სახელმძღვანელო 12 ინსტრუმენტისგან შედგება, რომელთაგან თითოს პრაქტიკული შენიშვნა ახლავს თან – *იხილეთ დამატებითი ინფორმაცია.*

რატომ არის გენდერი მნიშვნელოვანი პოლიციის რეფორმისთვის?

პოლიციის რეფორმა პოლიცის ორგანიზაციის ტრანსფორმაციას ან გარდაქმნას ნიშნავს პროფესიონალურ და ანგარიშვალდებულ პოლიციის სამსახურად, რომელიც პოლიციურობის ისეთ მიმართულებას ირჩევს, რაც ადგილობრივი თემების მოთხოვნილებებზე პასუხისმგებლობას იღებს[1].

გენდერი ეხება როლებს და ვალდებულებებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მიდგომებს, ქცევებს და ფასეულობებს, რომელსაც საზოგადოება ქალებსა და მამაკაცებს მიაწერს. „გენდერი" შესაბამისად ნიშნავს *გაცნობიერებულ* განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, მაშინ, როცა „სქესი" *ბიოლოგიურ* განსხვავებას აღნიშნავს მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანებს შორის. გენდერის როლი საკმაოდ განსხვავებულია სხვა კულტურებში და შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. გენდერი ეხება არა მხოლოდ უბრალოდ ქალებს ან მამაკაცებს, არამედ ასევე ურთიერთობას მათ შორის.

მამაკაცების, ქალების, გოგონებისა და ვაჟების უსაფრთხოების ეფექტური უზრუნველყოფა

[1] გროენევალდი ჰ. და პიკი, გ. პოლიციის რეფორმა საზოგადოებრივი პოლიციური სისტემის მეშვეობით: „ფილოსოფია და გაიდლაინები განხორციელებისთვის" (მშვიდობის საერთაშორისო აკადემია: ნიუ იორკი), 2004, გვ.1.

- რადგან პოლიცია საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებასა და ხალხის დაცვაზეა პასუხისმგებელი, მათი ვალდებულებაა გაიაზრონ და იმოქმედონ დანაშაულის სხვადასხვა ფორმებისა და იმ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და საპასუხოდ, რომლიც წინაშე მამაკაცები, ქალები, გოგონები და ვაჟები შესაძლოა აღმოჩნდნენ.
- გენდერული ძალადობა, რომელიც ოჯახურ ძალადობას, ადამიანების ტრეფიკინგს და სექსუალურ შეურაცხყოფას მოიცავს, ერთ-ერთ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მთელს მსოფლიოში ადამიანური უსაფრთხოების თვალსაზრისით. პოლიციის ოფიცრებმა შესაბამისი წვრთნა უნდა გაიარონ გენდერული ძალადობის მსხვერპლთა საპასუხოდ და ამ დანაშაულების შესახებ ეფექტურად საქმის აღძვრისა და გამოძიების მიზნით.

წარმომადგენლობითი პოლიციის სამსახური

- ისეთი პოლიციის სამსახურების შექმნა, რომელიც იმ მოსახლეობის წარმომადგენელია, რომლის მომსახურებასაც ის ცდილობს – ეთნიკურობის, სქესის, რეგიონის, ენის, ტომის, და ა.შ. თვალსაზრისით – ზრდის საზოგადოების თვალში მომსახურებისადმი სანდოობას, რწმენას და ლეგიტიმურობას.
- პოლიციის წარმომადგნელობითი სამსახური ოპერაციულ ეფექტურობას ზრდის უნარ-ჩვევების ფართო სპექტრის, გამოცდილებების, განათლებისა და კულტურისადმი მისაწვდომობის გზით, რაც მაქსიმალურად შესაძლებელს ხდის ადგილობრივი პრობლემებისადმი ადგილობრივი გამოსავლის პოვნის უნარს[2].
- ქალები ხშირად სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს და ძალას მატებენ პოლიციის მუშაობას, როგორიცაა პოტენციურად ძალადობრივი სიტუაციების განმუხტვა, ძალის გამოყენების შემცირება და კარგი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამოყენება[3]. გარკვეულ კონტექსტში მდედრობითი სქესის ოფიცრებმა აუცილებლად უნდა შექმნან კორდონი და გაჩხრიკონ ქალები, სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების ქსელი გააფართოვონ და გენდერული ძალადობის მსხვერპლს დაეხმარონ.
- გლობალურად, მამაკაცები ამჟამად გაცილებით უფრო პოლიციის რიგებში მრავალრიცხოვნად არიან წარმოდგენილი. ამასთან, საჭიროა

---

[2] გაერთიანებული სამეფოს პოლიციის სამინისტრო, „ის მუშაობს... მრავალფეროვნების ოპერაციული სარგებელი პოლიციის სამსახურისთვის“, 2005 წ. გვ.4 http://police.homeoffice.gov.uk/news-and-publications/publication/humanresources/Operational_Benefits_Leaflet.pdf

[3] ლონსვეი ქ. და სხვ. უფრო მეტი რაოდენობის ქალების დაქირავება და შენარჩუნება: სამართალდამცავი წუყებების უპირატესობა, ქალთა და პოლიციის სამსახურის ეროვნული ცენტრი, 2003 წ.

გაიზარდოს სპეციფიკური ინიციატივების რიცხვი მდედრობითი სქესის თანამშრომლების დასაქმების, შენარჩუნებისა და დაწინაურების მიზნით.

არადისკრიმინაციული და ადამიანის უფლებების დამცველი პოლიციის მომსახურება

- პოლიციის პერსონალის მიერ, მოქალაქეებისა და თანამშრომლების დახმარებით, დისკრიმინაციისა და ადამიანის უფლებების დარღვევის აღმოფხვრა, როგორიცაა სექსუალური შევიწროება და გაუპატიურება, დაეხმარება მათ შექმნან ეფექტური და პროდუქტიული სამუშაო გარემო.
- პოლიციის პერსონალის დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას პოლიციის მომსახურებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობის შეფერხება შეუძლია. ბევრ ქვეყანაში ქალები აცხადებენ, რომ პოლიცია გულგრილია და შესაძლოა გენდერული დანაშაულებების ადექვატურად გამოძიებისას წარუმატებლობა განიცადონ[4]. გენდერისადმი გულისხმიერ პოლიციის განყოფილებებს, შეთანხმებებს და ქმედითუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს შეუძლიათ პოლიციის პროფესიონალიზმი და პოლიციის მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა გაზარდონ.

შესაბამისობა საერთაშორისო კანონებით და ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან

პოლიციის რეფორმაში გენდერული საკითხების ინტეგრირების მიზნით ინიციატივის აღება არა მხოლოდ ოპერაციული ეფექტურობის საკითხია, არამედ აუცილებელია საერთაშორისო და რეგიონული კანონებთან, ინსტრუმენტებსა და ნორმებთან შესაბამისობა, რომლებიც უსაფრთხოებასა და გენდერს ეხება. ძირითადი ინსტრუმენტები მოიცავს:

- კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW, 1979)
- პეკინის დეკლარაციას და სამოქმედო პლატფორმას (1995).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმძღვანელოს დანართი „საერთაშორისო და რეგიონული კანონები და ინსტრუმენტები“.

როგორაა შესაძლებელი გენდერის ინტეგრირება პოლიციის რეფორმაში

წინასწარი შეფასება

- გენდერზე რეაგირების უზრუნველმყოფი შეფასებების ან აუდიტის გამართვა, რომელიც ორიენტირებულია სპეციფიკურად გენდერულ საკითხზე, როგორიცაა ქალების დასაქმება, სექსუალური შეურაცხყოფის მაჩვენებელი ან რეაგირება ოჯახურ ძალადობაზე.

---

[4] UNIFEM, *არცერთი წუთით მეტი: ქალთა მიმართ ძალადობის დასასრული,* (UNIFEM: ნიუ იორკი), 2003წ, გვ. 46.

გენდერისადმი მგრძნობიარე პოლიტიკა, შეთანხმებები და პროცედურები

- სპეციფიკური შეთანხმებების/პროცედურების განვითარება და განხორციელება გენდერული ძალადობის მსხვერპლთა საქმეების გამოძიების, სასჯელის შეფარდების და მათი მხარდაჭერის მიზნით.
- გენდერისადმი მგრძნობიარე ქცევის კოდექსისა და პოლიციის ოფიცრების მიერ ჩადენილი დისკრიმინაციის, სექსუალური შეურაცხყოფის და ძალადობის წინააღმდეგ პოლიტიკის დანერგვა, შიდა და გარე ანგარიშგების მექანიზმების შემუშავება, სადაც საჩივრების მიღება იქნება შესაძლებელი.
- ვეტერანი პოლიციელების დასაქმება გენდერული, მათ შორის ოჯახური ძალადობის ისტორიებისთვის.
- წამახალისებელი სტრუქტურების შექმნა გენდერისადმი გულისხმიერი პოლიციელების დასაჯილდოებლად ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის ნიშნად.
- ოპერაციული სისტემების, შეთანხმებებისა და პროცედურების გადახედვა:
    - ქალების პოლიციის არსებულ ასოციაციებსა და სხვა პოლიციის თანამშრომლების ასოციაციებთან ერთად მიმდინარე მდგომარეობისა და საჭირო რეფორმების განსაზღვრის მიზნით.
    - საზოგადოებრივი პოლიციის განყოფილებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, რაც ასევე მოიცავს ქალთა ჯგუფებს და ძალადობის შედეგად გადარჩენილ ადამიანებს, აუცილებელი რეფორმების განსაზღვრისა და დარწმუნებისთვის, რომ შეთანხმებები და პროცედურები საზოგადოების მოთხოვნილებებს პასუხობს.

ქალთა პოლიციის განყოფილებები/ოჯახური ძალადობის ქვეგანაყოფები

- განიხილეთ ქალთა პოლიციის განყოფილებების ან გენდერულ ძალადობაზე ორიენტირებული, გარკვეული ქვედანაყოფების ჩამოყალიბების საკითხი მსხვერპლის უფრო მეტად გასამხნევებლად, რომ საჩივარი შეიტანონ და გენდერულ ძალადობაზე პოლიციის რეაგირება გააუმჯობესონ (იხილეთ ჩანართი 1).

ტრენინგი გენდერის საკითხებზე

- მოახდინეთ გენდერული საკითხების ინტეგრირება საბაზისო ტრენინგებში, რაც გამიზნულია პოლიციის ყველა თანამშრომლის, მათ შორის სამოქალაქო პერსონალისთვის.
- გამართეთ სავალდებულო და ამომწურავი ტრენინგი გენდერული რეაგირების და სექსუალური შეურაცხყოფის საკითხებზე პოლიციის ყველა თანამშრომლისთვის.

- შესთავაზეთ ღრმა, უნარ-ჩვევების განმტკიცებაზე ორიენტირებული ტრენინგები გარკვეულ გენდერულ საკითხებზე, როგორიცაა ტრეფიკინგის მსხვერპლებთან გასაუბრება და ოჯახურ ძალადობაზე საპასუხო ქმედებისთვის საჭირო შეთანხმებები, ჰომოსექსუალისტების წინააღმდეგ მიმართ ძალადობა, ბავშვთა შეურაცხყოფა და სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული.

ჩანართი 1

ქალთა პოლიციის განყოფილებები ლათინურ ამერიკაში[5]

2003 წელს ქალთა პოლიციის განყოფილებების თაობაზე არგენტინაში, ბრაზილიაში, კოსტა-რიკაში, ეკვადორში, ნიკარაგუაში, პერუსა და ურუგვაიში გამართული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ყოველი სტრუქტურა უნიკალურია და მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტს ემსახურება, რაც ქვეყანასა და სისხლის სამართლის კანონებზეა დამოკიდებული. განსხვავებების მიუხედავად, ქვემოთ მოცემულია მათი ძირითადი მახასიათებლები:

- უმეტესი მათგანი ქალების, ვაჟებისა და გოგონების წინააღმდეგ განხორციელებულ ოჯახურ ძალადობაზე მუშაობს.
- მომსახურება სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურების მიერ ხორციელდება.
- პოლიციის მომსახურება დეკლარაციების გადამუშავებას, გამოძიებების განხორციელებას და შეთანხმებების განხილვას მოიცავს სოციალურ მუშაკებთან პარტნიორობით.
- ქალთა პოლიციის განყოფილებების თანამშრომლები ექსკლუზიურად ქალები არიან.
- მომხმარებლისთვის სხვადასხვა სადისციპლინო მომსახურებები უფასოა.

ქალთა პოლიციის განყოფილებების მიზნებია:

- ქალთა დაცვა, თუ მათ უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება.
- კანონიერი, სამედიცინო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მომხმარებლებისთვის, უმეტესად ღარიბი ფენისთვის, რომლებსაც სხვაგვარად მსგავს მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდებათ.
- ზოგადად უსაფრთხოებაზე გენდერული საკითხების გათვალისწინებით კონცენტრირებაში წვლილის შეტანა.
- მომსახურების მიწოდების სფეროში კარგი მმართველობის,

[5] ჯაბი, ნ. და იზუმინო, ვ.პ. „ქალები და პოლიციის სამსახური ლათინურ ამერიკაში: რედაქტირებული ზოგადი დოკუმენტი“, (ლათინური ამერიკის კვლევების ასოციაცია: ტეხასი), 2003 წლის 27-29 მარტი. http://www.nevusp.org/downloads/down085.pdf

კოორდინირებისა და ადმინისტრაციის დანერგვაში წვლილის შეტანა მიმდინარე თანამშრომლობის გზით ქალთა მოძრაობებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიციასა და ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ მართულ ქალთა მექანიზმებს შორის. • ინფორმაციის შეგროვება იმ დანაშაულებზე, რომელთა გამოძიებას ქალთა სპეციალიზებული პოლიციის ქვედანაყოფები აწარმოებენ.

ქალთა პერსონალის დასაქმება, შენარჩუნება და დაწინაურება

- ქალთა დასაქმებისა და შენარჩუნებისათვის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრაზე მუშაობა.
- დასაქმების პოლიტიკის და პრაქტიკის განახლება ფართო სპექტრის კვალიფიციური ინდივიდების, მათ შორის ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების მოზიდვის უზრუნველყოფის მიზნით (იხილეთ, ჩანართი 2).
- სამუშაოს აღწერილობების განახლება თანამედროვე პოლიციის მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების კონკრეტულად ასახვისთვის.
- ადამიანური რესურსების პოლიტიკის განხილვა და ადაპტირება, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი არადისკრიმინაციული, გენდერის საკითხებისადმი რეაგირების განმახორციელებელი და ოჯახისადმი კეთილგანწყობილია.
- მდედრობითი სქესის პოლიციელების ასოციაციების და მენტორული პროგრამების შემუშავება.
- სამუშაოს შეფასების სტანდარტები და დისკრიმინაციის კრიტერიუმების მხარდაჭერა, შესრულებაზე ორიენტირებული შეფასების მიმოხილვის დანერგვა.
- თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სამუშაო ტრენინგებისადმი კარიერული წინსვლისთვის.

სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობა და თანამშრომლობა

- საზოგადოებრივი პოლიციის განხილვა, როგორც ეფექტური სტრატეგია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თემთან თანამშრომლობის გზით, რაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მოიცავს, როგორიცაა ქალთა ჯგუფები (მაგ.: ერთობლივი ტრენინგებისა და პატრულირების საშუალებით).
- პოლიციისთვის მიმართებითი სისტემების დანერგვა მსხვერპლის თემის მომსახურებასთან დაკავშირების მიზნით ქალთა ორგანიზაციების გათვალისწინებით.
- სამოქალაქო ზედამხედველობის მექანიზმების შექმნა და გაძლიერება, როგორიცაა თემის პოლიციის საბჭოები, იმისათვის, რომ საჯარო

ნდობა მოიპოვონ და კომუნიკაციის ფორმალური არხები დააარსონ პოლიციასა და თემს შორის.

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის გაზრდა, რათა ეფექტური მონიტორინგი გაუწიონ პოლიციის მუშაობის ადამიანის უფლებების დარღვევის გამოსავლენად.

მე-2 ინსტრუმენტში ასევე მოცემულია...

- გენდერული რეფორმის სამოქმედო გეგმის ნიმუში;
- პოლიციასა და სათემო ჯგუფს შორის დადებული შეთანხმების ნიმუში;
- გენდერული ძალადობის მოგვარების კარგი პრაქტიკული მაგალითები;
- გენდერული საკითხების საკონტროლო ჩამონათვალი საზოგადოებრივი პოლიციისთვის;
- საჭირო რეკომენდაციები სამუშაო გარემოს შეფასების გამართვისთვის;
- სამუშაო აღწერილობის შემუშავების საკონტროლო ჩამონათვალი;
- მდედრობითი სქესის თანამშრომლების დასაქმების, შენარჩუნებისა და დაწინაურების სტრატეგიები;
- საკონტროლო ჩამონათვალი სექსუალური შევიწროების პოლიტიკებისთვის.

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

კონფლიქტის შემდგომ ქვეყნებში ხშირად ფართოდ გავრცელებულია საშიშროება, ამასთან ერთად შეინიშნება გარკვეული ფორმის ძალადობის ზრდა. პოლიციის სამსახური შესაძლოა თითქმის სრულიად ჩავარდეს ან აკლდეს ლეგიტიმურობა კონფლიქტში მონაწილეობის გამო. ხშირად პოლიციის სისტემატური რეფორმის გადაუდებელი საჭიროებაა, რაც გენდერული ძალადობის მაღალი შემთხვევითობის პრევენციას მოიცავს.

გენდერული საკითხების ინტეგრაციის გამოწვევები

- პოლიცია ხშირად სჩადის ძალადობრივ დანაშაულს, მათ შორის სექსუალურ ძალადობასა და შეურაცხყოფას თემის წევრებისადმი, რაც მათში უნდობლობის მაღალ დონეს იწვევს. ამგვარ შემთხვევებში რთული იქნება ქალთა დასაქმება, ხოლო გენდერული ძალადობის შესახებ საჩივრების რიცხვი შედარებით დაბალია.
- პოლიციის ინსტიტუტები ხშირად ეჭვის თვალით უყურებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და მათთან თანამშრომლობის სურვილი ნაკლებად აქვთ.

- ეროვნული პოლიცია ხშირად რთულ პირობებში მუშაობს სათანადო აღჭურვილობის გარეშე და დაბალი ანაზღაურებით, ამასთან მათ სხვადასხვა მოვალეობები უნდა შეასრულონ, რაც ხშირად რეფორმის პროცესების პრიორიტეტებისადმი, მათ შორის გენდერული რეფორმების მიმართ ნაკლები ინტერესით სრულდება.
- გენდერისადმი საპასუხო რეაქციის მატარებელი პოლიციის რეფორმისადმი ერთგულება მცირდება, როდესაც დანაშაულის რიცხვი იმატებს და პოლიცია დანაშაულთან გამკლავების აგრესიულ ფორმებს უბრუნდება, რაც საზოგადოების გარკვეული ჯგუფების დაჩაგვრას იწვევს.
- ეროვნული პოლიციის ძალები არა მხოლოდ აგენტებია, რომელიც პოლიციის საქმიანობაში არიან ჩართულნი – კერძო უსაფრთხოების სააგენტოები, მილიცია და შეიარაღებული არასახელმწიფოებრივი მოქმედი პირები ასევე საჭიროა ჩართულნი იყვნენ გენდერზე რეაგირების უზრუნველმყოფელი, უსაფრთხოების სექტორის რეფორმების გატარების მცდელობისას.

ჩანართი 2

საგანმანათლებლო მხარდაჭერა მდედრობითი სქესის პოლიციის თანამშრომლებისთვის ლიბერიაში[6].

ლიბერიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და ლიბერიის მთავრობამ საგანმანათლებლო მხარდაჭერის პროგრამა შეიმუშავეს ლიბერიის ეროვნული პოლიციაში მუშაობის პოტენციური მდედრობითი სქესის მსურველთათვის. ინტენსიური პროგრამა მიზნად ისახავს დაინტერესებული ქალების განათლების დონის ამაღლებას უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულის დონემდე, რათა მათ ლიბერიის ეროვნული პოლიციის რიგებში სამუშაოდ სათანადო კვალიფიკაცია ჰქონოდათ. როგორც ალან დოსმა, ლიბერიაში გაეროს მისიის ხელმძღვანელმა განაცხადა ლიბერიის ახალგაზრდა ქალებისთვის პროგრამის გახსნაზე: „ეს თქვენთვის მხოლოდ განათლების დონის ამაღლების შესაძლებლობა კი არ არის, არამედ ასევე ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში თქვენ შესძლებთ შეუერთდეთ ლიბერიის ეროვნულ პოლიციას და თქვენი ქვეყნის შეცვლაში მიიღოთ მონაწილეობა, განსაკუთრებით თქვენი ქვეყნის ქალების ცხოვრების შეცვლაში“.

გენდერული საკითხების ინტეგრაციის შესაძლებლობები

[6] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისია ლიბერიაში, „სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის დაწყება მდედრობითი სქესის პოტენციური თანამშრომლებისთვის ლიბერიის ეროვნულ პოლიციაში“. პრეს-რელიზი, იან. 22, 2007 წ. http://unmil.org/article.asp?id=1951

- საერთაშორისო ყურადღებას და ფინანსურ მხარდაჭერას შეუძლია გავლენა მოახდინოს რეფორმის მიმდინარეობაზე მისი გულისხმიერების თვალსაზრისით მამაკაცებისა და ქალების მოთხოვნილებების მიმართ, განსაკუთრებით საერთაშორისო სამოქალაქო პოლიციის ძალების შემთხვევაში, როდესაც ისინი მისაბაძი მაგალითები არიან.
- შეცვლილი გენდერული როლები და სოციალური სტრუქტურები უზრუნველყოფენ ქალებისთვის უფრო მეტი ადგილის გამოყოფას, როდესაც პოლიცია მიჩნეულია პროფესიონალური განვითარების შესაძლებლობად.
- პოლიციის მომსახურების ფართომასშტაბიანი რეფორმა უზრუნველყოფს მდედრობითი სქესის კანდიდატების, გენდერულ ძალადობაზე მომუშავე ვეტერანი კანდიდატებისთვის მიზნის დასახვის შესაძლებლობას და გენდერული საკითხების ინტეგრირებას ახალ პოლიტიკასა და შეთანხმებებში, ოპერაციულ პროგრამირებასა და ტრენინგში.
- შესაძლოა იმ ქალთა ოდენობა გაიზარდოს, რომლებსაც სურთ პოლიციაში დასაქმება – იმ ქალებისა, რომლებიც მხარს უჭერენ და ხელმძღვანელობენ ოჯახურ საქმეებს, ასევე მდედრობითი სქესის ყოფილ მებრძოლებს.
- გენდერული ძალადობის დიდი ოდენობის გამო კონფლიქტურ და კონფლიქტის შემდგომ გარემოში შესაძლოა მამოძრავებელ ძალად იქცეს სპეციალიზებული ქვედანაყოფების ჩამოყალიბება ქალთა და ბავშვთა ძალადობასთან გასამკლავებლად, როგორიც იყო ავღანეთში, ლიბერიასა და სიერა ლეონეში (იხილეთ ცხრილი 3).

ჩანართი 3

სიერა ლეონეს ოჯახის მხარდაჭერის ქვეგანაყოფები

სიერა ლეონემ ათწლიანი კონფლიქტი გადალახა, სადაც გენდერული ძალადობა საომარი მდგომარეობის მეთოდად გამოიყენებოდა. ქალები და გოგონები მოტაცების, ექსპლუატაციის, შეურაცხყოფის, დასახიჩრებისა და წამების ობიექტებად იყვნენ ქცეულნი. ომის დანაშაულებთან დამატებით, Human Rights Watch (HRW)-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ 1998-2000 წწ პერიოდის შესახებ აჩვენა, რომ გამოკითხული ქალების 70%-მა განაცხადა, რომ მამაკაცი პარტნიორები სცემდნენ მათ, მათგან 50% აღიარებდა სქესობრივი აქტისას ძალადობას. ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ შეურაცხყოფებს, არამედ გენდერული ძალადობის მსხვერპლთა შესახებ, როგორც წესი, არავინ საუბრობდა. კვლევა ცხადყოფს, რომ Human Rights Watch-ის მიერ გამოკითხული ქალების 60%-ს სჯეროდა, რომ ქალები ქმრებისგან ცემას იმსახურებდნენ, ეს აღქმა დაფიქრებას საჭიროებდა.

რამდენადაც დუმილის კულტურა დაირღვა, უკვე ფართოდ აღიარებენ, რომ გადარჩენილებს პოლიციასთან კავშირი სჭირდებათ დანაშაულის შესახებ

ინფორმაციის მიწოდების, დროებით თავშესაფრებში დაცვის, სამედიცინო და ფსიქოლოგიური მკურნალობის, ასევე იურიდიული დახმარების თვალსაზრისით. თუმცა, პოლიციის დამოკიდებულება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ჯანსაღი არ იყო, რის შედეგადაც ქალების უმეტესობას ნაკლებად ჰქონდა სურვილი პოლიციისთვის დანაშაულის შესახებ ეცნობებინათ. ამის საპასუხოდ, მთავრობამ 2001 წელს ოჯახის მხარდაჭერის პირველი ქვედანაყოფი დააარსა ფიზიკურ ანგარიშსწორებას, სექსუალურ შეურაცხყოფასა და ბავშვთა მიმართ სისასტიკესთან გასამკლავებლად. გარდა ამისა, პოლიციელებისთვის ტრენინგი გაიმართა, თუ როგორ გასწორებოდნენ ოჯახურ და სქესობრივ ძალადობას.

? პოლიციის რეფორმის შესახებ შეკითხვები

საწყისი საკითხების, ძლიერი და სუსტი მხარეების უკეთ გამოვლენის ერთ-ერთი საუკეთესო გზა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებისთვის პოლიციის რეფორმაში შეფასების ორგანიზებაა. ქვემოთ მოცემულია გენდერის შესახებ შეკითხვების ნიმუშები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩართული იყოს პოლიციის რეფორმის მიმდინარეობის შეფასების, მონიტორინგისა და შეჯამების დროს:

- არსებობს თუ არა მოქმედი ჩარჩოები, პოლიტიკა, პროცედურები ან სხვა მექანიზმები, რომ პოლიციას დაეხმაროს გენდერულ ძალადობაზე რეაგირებისთვის?
- არსებობს თუ არა გენდერული ძალადობის ქცევის კოდექსი და ამომწურავი პოლიტიკა სექსუალური შევიწროების მიმართ? ძალაშია თუ არა ისინი? მათი განხორციელება მოწმდება თუ არა?
- იმართება თუ არა შესაბამისი ტრენინგი პოლიციის თანამშრომლებისთვის გენდერულ საკითხებზე ქმედითუნარიანობის გასაუმჯობესებლად?
- საჩივრის შიდა და გარე მექანიზმები შემუშავებულია და ხელმისაწვდომია თუ არა? ახდენს თუ არა ომბუდსმენი სექსუალურ შევიწროებაზე, დისკრიმინაციაზე ან ძალადობაზე საჩივრის მიღებას?
- არსებობს თუ არა ისეთი სამოქალაქო ზედამხედველობის ორგანოები, როგორიცაა საზოგადოებრივი პოლიციის საბჭოები? აკონტროლებენ თუ არა ისინი გენდერულ ძალადობას და დისკრიმინაციას?
- რა ოდენობითაა მამრობითი და მდედრობითი სქესის პოლიციის თანამშრომლები და რა არის მათი წოდება?
- ხდება თუ არა ზომების მიღება მდედრობითი სქესის პოლიციის თანამშრომლების, ასევე ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების უფრო მეტად დასაქმების, შენარჩუნებისა და დაწინაურებისთვის? დასაქმების პროცესები არის თუ არა ნაკლებად დისკრიმინაციული? მდედრობითი

სქესის პოლიციის ოფიცრები იღებენ თუ არა თანაბარ ხელფასს და შეღავათებს?

- ხელმისაწვდომია თუ არა ქალებისა და მამაკაცებისთვის პოლიციის მომსახურება, როგორც ქალაქის, ისე დაბის ტიპის დასახლებებში?
- არსებობს თუ არა საზოგადოებრივი პოლიციის პროგრამები ან ინიციატივები?

დამატებითი ინფორმაცია

რესურსები

ცენტრი ბავშვებისა და ოჯახებისთვის იუსტიციის სისტემაში– *სახელმძღვანელო „პოლიციის რეაგირება ოჯახურ ძალადობაზე: უფრო უსაფრთხო თემების წახალისება კვლევისა და პრაქტიკის ინტეგრაციის გზით“,* 2004წ.

ევროპის საბჭო – *მნიშვნელოვანი მითითებები: ხედვა, ინოვაცია და პროფესიონალიზმი პოლიციის საქმიანობაში ქალთა და ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ გასამკლავებლად* 2001წ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საერთაშორისო ცენტრი – *სანიმუშო სტრატეგიები და პრაქტიკული ზომები ქალთა და ბავშვთა წინააღმდეგ ძალადობის აღკვეთისათვის დანაშაულის შემცირებისა და სისხლის სამართლის სფეროში: რესურსების სახელმძღვანელო,* 1999წ.

პოლიციისა და ქალთა ეროვნული ცენტრი – *ქალთა დასაქმება და შენარჩუნება: თვითშეფასების სახელმძღვანელო კანონის ძალაში შესვლისთვის,* 2001წ.

OECD-DAC - *OECD DAC სახელმძღვანელო უსაფრთხოების სისტემის რეფორმის შესახებ: უსაფრთხოებისა და სამართლიანობის მხარდაჭერა,* 2007წ.

UNIFEM/UNDP – *გენდერისადმი რეაგირების განმახორციელებელი პოლიციის რეფორმა კონფლიქტისშემდგომ გარემოებებში - პოლიციის მოკლე მოხსენება,* 2007წ.

ორგანიზაციები

თანამეგობრობის ადამიანთა უფლებების დაცვის ინიციატივა – www.humanrightsinitiative.org

ევროპის პოლიციელ ქალთა ქსელი – www.enp.nl

ქალ პოლიციელთა საერთაშორისო ასოციაცია – www.iawp.org

ქალთა და პოლიციის საქმიანობის ეროვნული ცენტრი – www.womenandpolice.org

ღია საზოგადოების სამართლის ინიციატივა – www.justiceinitiative.org

ეუთოს სტატეგიული პოლიტიკის საქმეების ქვედანაყოფი – www.osce.org/spmu/

გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის (UNIFEM) – www.unifem.org

გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი
2. პოლიციის რეფორმა და გენდერი
3. თავდაცვის რეფორმა და გენდერი
4. სასამართლო რეფორმა და გენდერი
5. სასჯელაღსრულების რეფორმა და გენდერი
6. საზღვრის მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი
8. უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი
9. სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა და გენდერი
10. კერძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და გენდერი
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის

დანართი საერთაშორისო და რეგიონული კანონების და ინსტრუმენტების შესახებ

თითოეული ეს ინსტრუმენტი და პრაქტიკული მითითება ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

www.dcaf.ch www.un-instraw.org და www.osce.org/odihr.

აღნიშნული პრაქტიკული მითითების ავტორია ანა კორნეევა (UN-INSRAW), #2 ინსტრუმენტზე დაყრდნობით, რაც ტარა დენჰამის ავტორობით გამოიცა.